



პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

რეკომენდაციები

ავტომატიზებული ინფორმაციური გადაწყვეტილების
მიღებასთან დაკავშირებული უზღუდებისა
და ურთოვანიღონების შესახებ

რეკომენდაციები ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი	2
1. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები	4
1.1. მონაცემთა სუბიექტის უფლება, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას	4
1.2. საგამონაკლისო შემთხვევები	6
1.3. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მოვალეობა	7
1.4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამოყენება	9
2. მონაცემთა სუბიექტის უფლება მიიღოს ინფორმაცია ავტომატიზებული დამუშავების შესახებ, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად ან მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება	10
2.1. მიიღოს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია	10
2.2. მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება	11
3. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულება	11
4. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და პროფაილინგი ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით	12

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი¹, მსგავსად ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციისა“², ითვალისწინებს ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. კანონი განსაზღვრავს პროფაილინგის ტერმინოლოგიურ შინაარსს, აგრეთვე, ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა ვალდებულებებს. მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა შეიძლება, მიჩნეულ იქნეს პროფაილინგად, თუ მონაცემები გამოიყენება ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად. თუმცა, ამავდროულად, ავტომატური დამუშავება შეიძლება, ითვალისწინებდეს ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა არ წარმოადგენდეს პროფაილინგს.

წინამდებარე რეკომენდაცია მიზნად ისახავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან, მათ შორის, პროფაილინგთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტის უფლებების, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა ვალდებულებების განმარტებას.

რეკომენდაციები მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმატიული შინაარსის, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ („EDPB“) წინამორბედის — „29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის“ სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა და ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმძღვანელო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

¹ მე-19 მუხლი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ).

² 22-ე მუხლი, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016 (შემდგომში — GDPR).

1. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები

1.1. მონაცემთა სუბიექტის უფლება, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას

მონაცემთა დამუშავება გულისხმობს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, მონაცემთა შეგროვებას, მოპოვებას, მათზე წვდომას, ფოტოგადაღებას, ვიდეომონიტორინგს ან/და აუდიომონიტორინგს, ორგანიზებას, დაჯგუფებას, ურთიერთდაკავშირებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნებას მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარი ფორმით ხელმისაწვდომად გახდომით. მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავების შემთხვევაში მონაცემები მუშავდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მაგალითად: პერსონალური კომპიუტერის, მობილური მოწყობილობის ან როუტერის დახმარებით.³ შესაბამისად, აღნიშნული შეეხება მხოლოდ იმგვარი მონაცემის დამუშავებას, რომელიც არ ითვალისწინებს ადამიანური რესურსის გამოყენებას.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ავტომატიზებულად მიღებული გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტისთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა და დიდი მოცულობის მონაცემების ანალიტიკის, ხელოვნური ინტელექტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობებმა გააადვილა პროფილების შექმნა და ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელთაც არსებითი ზეგავლენა აქვთ ფიზიკური პირების უფლებებსა და თავისუფლებებზე.⁴

კანონის მე-3 მუხლი აყალიბებს პროფაილინგის დეფინიციას, რომელიც განიმარტება, როგორც მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რაც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას.⁵

³ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 114.

⁴ Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Automated Individual Decision-making and Profiling for the Purposes of Regulation 2016/679, 2018, 5.

⁵ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 265.

მაგალითი:

სამედიცინო მკურნალობისას პაციენტის ჯანმრთელობის პროგნოზირებისთვის ან კონკრეტული პაციენტის წარმატებული მკურნალობის ალბათობის შესახებ გარკვეული ჯგუფის მახასიათებლების, ანალიზების საფუძველზე შეიძლება ავტომატურად დამუშავდეს მონაცემები. ასევე, დაზღვევასთან დაკავშირებული რისკების გასათვალისწინებლად, შესაძლოა რისკის დონის განსაზღვრა ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შეფასების ალგორითმის გამოყენებით.⁶

ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისა და პროფაილინგის საფუძველზე მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პრინციპები და უნდა არსებობდეს მონაცემთა დამუშავების სულ მცირე, ერთ-ერთი საფუძველი. პროფაილინგი მოიცავს ავტომატიზებული ფორმით გადაწყვეტილებას.⁷ აღსანიშნავია, რომ პროფილირება შედგება სამი ელემენტისგან: ა) დამუშავების ავტომატიზებული ფორმა; ბ) პერსონალური მონაცემების დამუშავება; გ) ფიზიკური პირის შესახებ პიროვნული მახასიათებლების შეფასება.⁸ თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ პირთა კლასიფიცირება გარკვეული მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, ასაკისა და გენდერის მიხედვით, არ წარმოადგენს ყოველ შემთხვევაში პროფაილინგს. აღნიშნული დამოკიდებულია კლასიფიკაციის მიზანზე. თავის მხრივ, პროფაილინგის მიზანია ფიზიკური პირის ან პირთა გარკვეული წრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი მახასიათებლების ან ქცევითი მოდელების შეფასება, რათა მოხდეს მათი შესაბამის კატეგორიაში განთავსება. ასევე, მათ შესაძლო გადაწყვეტილებებისა და ინტერესების გაანალიზება და სავარაუდო ქცევის პროგნოზირება.⁹

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პროფაილინგი შესაძლოა, მოიცავდეს სამ სხვადასხვა ეტაპს: ა) მონაცემთა შეგროვებას; ბ) ავტომატიზებული ანალიზი კორელაციების განსაზღვრის მიზნით; გ) კორელაციის გამოყენება ფიზიკური პირის მიმართ, მისი ამჟამინდელი ან სამომავლო ქცევის მახასიათებლების იდენტიფიცირებისთვის.¹⁰

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად (ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით), მათ შორის,

⁶ Information Commissioner's Office, What is Automated Individual Decision-making and Profiling? <<https://ico.org.uk/>> [27.02.2024].

⁷ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 265.

⁸ Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Automated Individual Decision-making and Profiling for the Purposes of Regulation 2016/679, 2018, 6.

⁹ Vrabec H. U., Data Subject Rights under the GDPR, With a Commentary Through the Lens of the Data-driven Economy, 2021, 191-194.

¹⁰ Council of Europe, The Protection of Individuals with Regard to Automatic Processing of Personal Data in the Context of Profiling. Recommendation CM/Rec(2010)13 and Explanatory Memorandum, 2010, <[https://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/CDCJ%20Recommendations/CMRec\(2010\)13E_Profiling.pdf](https://www.coe.int/t/dghl/standardsetting/cdcj/CDCJ%20Recommendations/CMRec(2010)13E_Profiling.pdf)>.

პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს.¹¹ აღნიშნული წარმოადგენს ფიზიკური პირის უმთავრეს უფლებას — ინდივიდი არ იყოს სრულად დაქვემდებარებული ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებზე.¹² მონაცემთა სუბიექტის უფლება, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებული დამუშავებით მიღებულ გადაწყვეტილებას, უტოლდება ზოგად აკრძალვას და არ საჭიროებს მონაცემთა სუბიექტის მხრიდან პროაქტიულ გასაჩივრებას.¹³ ხოლო მონაცემთა სუბიექტის უარი ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, გამოიხატება აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებაში მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან, ეროვნულ სახელმძღვანელო ორგანოში ან სასამართლოში.

1.2. საგამონაკლისო შემთხვევები

კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი დაექვემდებარება ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს იმ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილების მიღება:

- ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას;
- აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;
- გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.¹⁴

ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მონაცემთა დასამუშავებლად მონაცემთა სუბიექტის თანხმობა შეიძლება გამოიხატოს, შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ.

სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მონაცემთა დამუშავება ეფუძნება ხელშეკრულების დადების მიზანს ან მხარეთა შორის უკვე გაფორმებულ ხელშეკრულებას.

კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით

¹¹ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

¹² Fuster G. G., Brakel R. V., Hert P. (eds.), Research Handbook on Privacy and Data Protection Law, Values, Norms and Global Politics, 2022, 26.

¹³ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 265.

¹⁴ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი, GDPR.

ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მონაცემთა დამუშავება უნდა განხორციელდეს ამ აქტის მოქმედების ფარგლებით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

1.3. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მოვალეობა

მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, შეატყობინოს ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და ასევე, იმ ლოგიკის თაობაზე, რომელსაც დაეყრდნო აღნიშნული გადაწყვეტილება.¹⁵ აღნიშნული ემსახურება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვას, გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, რაც მას აძლევს საშუალებას, რომ გასცეს დამუშავების პროცესზე ინფორმირებული თანხმობა, ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვოს ადამიანური რესურსის ჩართვა.¹⁶ მას უფლება აქვს სადავო გახადოს დამუშავებული პერსონალური მონაცემის სიზუსტე და ამავდროულად, გაასაჩივროს მის მიმართ გამოყენებული რომელიმე პროფილის რელევანტურობა.¹⁷

მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის, კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით), მონაცემთა სუბიექტისთვის მისი მოსაზრების გამოთქმის და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით. ფიზიკურ პირს უფლება აქვს იცოდეს მიღებული გადაწყვეტილებები, არამედ ის ლოგიკა, რომელსაც დაეყრდნო აღნიშნული შეფასება თუ გადაწყვეტილება.¹⁸

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს რომ გადაწყვეტილების ავტომატიზებულ მიღებას განსხვავებული ფარგლები აქვს და შეიძლება ნაწილობრივ გადაფაროს ან მონაცემთა დამუშავების რაიმე ეტაპზე

¹⁵ კანონის მე-13 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁶ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 266.

¹⁷ 77-ე პუნქტი, Council of Europe, Explanatory Report, Modernized Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data (Convention 108+; CM/Inf(2018)15-final), 18/05/2018.

¹⁸ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 267.

უკავშირდებოდეს პროფაილინგს. გადაწყვეტილების მხოლოდ ავტომატიზებული გზით მიღება არის გადაწყვეტილების მიღების უნარი ადამიანის ჩარევის გარეშე ტექნოლოგიური საშუალებებით. ავტომატიზებული გადაწყვეტილებები შეიძლება, დაეფუძნოს მონაცემთა სუბიექტების დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებს (მაგალითად, აპლიკაციის საშუალებით შეგროვებული სხვადასხვა ტიპის მონაცემი) ან დასკვნით მონაცემებს (მაგალითად, პიროვნების უკვე შექმნილი პროფილები). ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია პროფაილინგით ან მის გარეშე, ხოლო პროფაილინგი შეიძლება განხორციელდეს ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების გარეშე.¹⁹

მაგალითი:

საგამოცდო კომისია იყენებს ავტომატიზებულ სისტემას მრავალჯერადი არჩევანის გამოცდის პასუხების ფურცლების აღსანიშნავად. სისტემა წინასწარ არის დაპროგრამებული სწორი პასუხების რაოდენობით, რომელიც საჭიროა პასუხის განმასხვავებელი ნიშნების მისაღწევად. ქულები ავტომატურად მიეკუთვნება კანდიდატებს სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით და შედეგები ხელმისაწვდომია ონლაინ პროგრამის ადმინისტრატორისთვის. ეს არის გადაწყვეტილების მიღების ავტომატური პროცესი, რომელიც არ გულისხმობს პროფილირებას, რადგან პროგრამა არ აფასებს ფიზიკურ პირთან დაკავშირებულ გარკვეულ პიროვნულ მახასიათებლებს.²⁰

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უნდა აცნობიერებდეს შემდეგ რისკებს: პროფაილინგი, ხშირად, უხილავია ფიზიკური პირებისთვის. მონაცემთა სუბიექტები შეიძლება არ ელოდნენ მათი პირადი ინფორმაციის ამ გზით გამოყენებას და არ ესმოდეოთ, როგორ მუშაობს პროცესი ან როგორ შეიძლება რაიმე სახის, მათ შორის უარყოფითი გავლენა იქონიოს მათზე. შესაბამისად, სისტემური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი სწორად უნდა აფასებდეს ამ პროცესისთვის დამახასიათებელ შესაძლო რისკებს.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ პროფაილინგის კონტექსტში განხორციელებული დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი, კანონიერი, პროპორციული და კონკრეტული კანონიერი მიზნის შესაბამისი.²¹ მეორე მხრივ, მიზანშეწონილია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს შესაბამისი ალგორითმის პერიოდული გადახედვა და შეფასება პროფაილინგთან დაკავშირებული რისკებისა და შეცდომების შემცირებისთვის.²²

¹⁹ Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Automated Individual Decision-making and Profiling for the Purposes of Regulation 2016/679, 2018, 8.

²⁰ Information Commissioner's Office, What is Automated Individual Decision-making and Profiling? <<https://ico.org.uk/>> [27.02.2024].

²¹ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 267.

²² იქვე, 267-268.

1.4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამოყენება

ავტომატიზებულად, მათ შორის პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამოყენება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიები, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების (მათ შორის, სათანადო ანალიტიკური კვლევის), დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის განთავსების უზრუნველყოფის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების, სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის დაცვის (მათ შორის, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს ან სასამართლოს მიერ კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარების) მიზნებისთვის და ამ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით ან კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ პროფილირების შედეგად, შესაძლებელია შეიქმნას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განყენებით, თავის მხრივ, არ წარმოადგენს სენსიტიურ კატეგორიას, მაგრამ სხვა მონაცემებთან გაერთიანების შედეგად გარდაიქმნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად.²³

მაგალითი:

ერთ-ერთი კვლევის თანახმად²⁴, სოციალური ქსელი „Facebook“-ის ე.წ. „მოწონებების“ და ლიმიტირებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევრებმა 88% სიზუსტით დაადგინეს კონკრეტული გენდერის / მომხმარებლების ორიენტაცია; 95% სიზუსტით - მომხმარებლის ეთნიკური

²³ Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Automated Individual Decision-making and Profiling for the Purposes of Regulation 2016/679, 2018, 15.

²⁴ Kosinski M., Stilwell D., Graepel Th., Private Traits and Attributes Are Predictable from Digital Records of Human Behaviour, Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America, <<http://www.pnas.org/content/110/15/5802.full.pdf>>.

წარმომავლობა; ხოლო 82% სიზუსტით განსაზღვრეს, მომხმარებელი ქრისტიანი იყო თუ მუსლიმი.²⁵

2. მონაცემთა სუბიექტის უფლება მიიღოს ინფორმაცია ავტომატიზებული დამუშავების შესახებ, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად ან მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება

2.1. მიიღოს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია

მონაცემთა სუბიექტის უფლებებში განსაზღვრული ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები არ არის ამომწურავი, რადგან მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების ჭრილში შესაძლებლობა აქვს მოიპოვოს წვდომა მსგავსი დამუშავების შედეგებზე. გამომდინარე იქიდან, რომ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, აღნიშნული უფლება ძირითადია მონაცემთა სუბიექტისთვის. ამავდროულად, მონაცემთა სუბიექტს უფლების დაცვის დამატებითი გარანტიები ენიჭება.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებისა და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ძირითადი მიმართულებებია:

- ინფორმაცია ავტომატიზებული დამუშავების ან პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
- ინფორმაცია ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად;
- ინფორმაცია მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

²⁵ Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Automated Individual Decision-making and Profiling for the Purposes of Regulation 2016/679, 2018, 15-16.

2.2. მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) უნდა შეწყდეს მონაცემთა დამუშავება ან/და მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განმარტოს უარის გასაჩივრების წესი. მონაცემთა დამუშავების, მათ შორის პროფაილინგის შეწყვეტის, წაშლისა და განადგურების უფლება არ არის აბსოლუტური, იგი შეიძლება შეიზღუდოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობის არსებობისას.²⁶

3. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულება

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, თუკი მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება.²⁷ ამასთანავე, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულოა, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილებას იღებს სრულად ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე.²⁸

მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შექმნას წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს:

- მონაცემთა კატეგორიის, მათი დამუშავების მიზნების, პროპორციულობის, პროცესისა და საფუძვლების აღწერას;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეების შეფასებას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერას.

თუ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოვლინდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა

²⁶ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა - თეორია და პრაქტიკა, 2023, 85.

²⁷ კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁸ კანონის 31-ე მუხლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

აუცილებელი ზომა საფრთხეების არსებითად შესამცირებლად და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის მიზნით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. თუ დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებით შეუძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის არსებითად შემცირება, მონაცემთა დამუშავება არ უნდა განხორციელდეს.²⁹

პროფაილინგის შედეგად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნას მონაცემთა სუბიექტის ძირითად უფლებებსა და სამართლებრივ ინტერესებს.³⁰ შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილების სრულად ავტომატიზებული მიღებისას, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი სრულად ფლობდეს ინფორმაციას იმ მექანიზმის შესახებ, რომლის საფუძველზეც მიიღება ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება ან განხორციელდება პროფაილინგი.

4. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და პროფაილინგი ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით

მსგავსად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ თანახმად, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, არ დაექვემდებაროს გადაწყვეტილებას, რომელიც აფასებს მის პიროვნულ მახასიათებლებს მონაცემთა მხოლოდ ავტომატურ დამუშავებაზე დაყრდნობით და წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა მნიშვნელოვან შედეგებს მისთვის, როგორცაა, მაგალითად, უარი ონლაინ საკრედიტო განაცხადზე, რომელშიც არ მონაწილეობს ადამიანი.³¹ ამგვარ დამუშავებას წარმოადგენს „პროფაილინგი“, რომელიც მოიაზრებს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ ავტომატურ დამუშავებას ფიზიკური პირის გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, ფიზიკური პირის დასაქმების ადგილზე მუშაობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, პერსონალური მიდრეკილებების, ინტერესების, სანდოობის, ქცევის, ადგილმდებარეობის ან გადაადგილების ასპექტების ანალიზსა და პროგნოზირებას — წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს სუბიექტისათვის ან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასზე.³²

²⁹ კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁰ Vrabec H. U., Data Subject Rights under the GDPR, With a Commentary Through the Lens of the Data-driven Economy, 2021, 194-195.

³¹ GDPR, 22-ე მუხლი.

³² GDPR, პრეამბულის 71-ე პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ რეგულაციის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებული უნდა იყოს პროფაილინგის განხორციელებისა და შედეგების შესახებ.³³ მონაცემთა ყველა სუბიექტს აქვს უფლება, იცოდეს და მიიღოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების, ვადისა და მიმღებების შესახებ, ასევე ავტომატური დამუშავების პრინციპის და შედეგების შესახებ, სულ მცირე, პროფაილინგის შემთხვევებში.³⁴ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებისას, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამუშავების, მათ შორის პროფაილინგის შეწყვეტა, რამდენადაც იგი უკავშირდება პირდაპირ მარკეტინგს.³⁵

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გამოიყენოს პროფაილინგისთვის საჭირო მათემატიკური, ლოგიკური და სტატისტიკური მეთოდები, განახორციელოს ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები პერსონალურ მონაცემებში უზუსტობების გამოსარიცხად და შეცდომის დაშვების რისკების შესამცირებლად, ასევე, პერსონალური მონაცემების იმგვარად დასაცავად, რომ გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებისა და უფლებების საფრთხის შემცველი პოტენციური რისკები.³⁶

ამასთანავე, რეგულაციის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი ექვემდებარება ავტომატიზებულიად მიღებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებს და პროფაილინგს, თუ ეს მოქმედება:

- აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებელს შორის ხელშეკრულების დასადებად ან შესასრულებლად;
- დასაშვებია/გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონით, რომელიც ვრცელდება დამუშავებელზე და რომელიც ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიებს;
- ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას.

მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან შესასრულებლად პირობის არსებობისას და მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატული თანხმობის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების დასაცავად, სულ მცირე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის, და მონაცემთა სუბიექტისთვის მისი მოსაზრება გამოთქმის საშუალების და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების საფუძველზე ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება

³³ იქვე, მე-60 პუნქტი.

³⁴ იქვე, 63-ე პუნქტი.

³⁵ იქვე, 70-ე პუნქტი.

³⁶ იქვე.

ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში,³⁷ როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის ნათლად გამოხატული თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით ამგვარი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და დამუშავება აუცილებელია არსებითი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, რომელიც დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, პატივს სცემდეს მონაცემთა დაცვის უფლების არსს და ითვალისწინებდეს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

³⁷ GDPR, პრეამბულის 70-ე პუნქტი და 22-ე მუხლი.



 ნატო ვარნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

 ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

 (+995 32) 242 1000

 office@pdps.ge